

დამტკიცებულია

კოლეჯის დირექტორის

ბრძანება # 03 10/07/2014 წელი



სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2014-20120 წწ

ახალციხე

2014 წ

შესავალი

ევროსაბჭომ თავის სტრატეგიულ მიზნად დაისახა, როგორც ევროკავშირის, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის გადაქცევა ცოდნაზე დაფუძნებულ, დინამიურად განვითარებად ეკონომიკად ჩამოყალიბება. ამ სტრატეგიის განუყოფელ და უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქნა მიჩნეული მაღალხარისხიანი პროფესიული განათლების და მომზადების სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც 2001 წლის ნოემბერში ევროკომისიამ მიიღო “მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონცეფცია” (ლიფე ლონგ ლეარნინგ) რომელიც განსაზღვრავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპებს. აღნიშნულ სტრატეგიას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობების ამაღლებისა და მოქალაქეთა თვით აღზრდისათვის. სამუშაო პროგრამაში “განათლება და სწავლება 2010” რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ე.წ. კოპენჰაგენის პროცესს გაცხადდა, რომ პროფესიული განათლების სფეროში სირთულეებს ქმნის სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი არაერთგვაროვანი სისტემები. სწორედ ამიტომ საქართველოს პროფესიულ განათლებაში დაწყებული რეფორმები მიმართულია ევროკავშირის მოთხოვნებთან მაქსიმალურ მიახლოებისაკენ. რაც მნიშვნელოვანია არა საკუთრივ განათლებისა და მომზადების, არამედ ადამიანური რესურსების, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის კაპიტალის განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს მთავრობის მიერ 2005-2007 წლებში დაწყებულ პროფ. განათლების რეფორმას ფინანსური მხარდაჭერა გამოუცხადა ევროგაერთიანებამ და 2009 წელს ხელი მოეწერა ფინანსურ შეთანხმებას, რომელიც ემსახურება პროფესიულ სისტემის, ეფექტურობისა და მიმზიდველობის გაზრდას. რაც უშუალოდ ეხმიანება საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წელს სიღარიბის დაძლევის პოლიტიკას. რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია პროფესიული მომზადება-გადამზადება, დასაქმება. გამოიკვეთა პრიორიტეტული სფეროები: მშენებლობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა, სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის , მასწავლებელთა სახლისა და პარტნიორისაერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა მიმართულია პროფესიული სტანდარტების, პროგრამებისა და ხარისხის გაუმჯობესებისკენ,(

საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 წწ) რომლის განმახორციელებლებიც პროფესიული განათლების დაწესებულებები არიან მათ შორისაა სსპ საზოგადოებრივი კოლეჯი “ოპიზარი”.

საზოგადოებრივი კოლეჯი “ოპიზარი” შეიქმნა 2011 წლის #68/ნ 06,05,2011წ. ბრძანებით შექმნილი პროფესიული კოლეჯის „ოპიზარი“ ბაზაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის # 74/ნ ბრძანების საფუძველზე. კოლეჯი მრავალდარგოვანია, რასაც ხელი შეუწყო “საქართველოს რეგიონალური განვითარების 2013-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგიის” განსაზღვრამ. რამაც თავის მხრივ განსაზღვრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მრავალმხრივი განვითარების პროექტების განხორციელება, რაზედაც დამოკიდებულია შრომის ბაზრის მოთხოვნა, ხოლო ამ მოთხოვნიდან გამომდინარე კვალიფიციური მუშახელის მიწოდება.

კოლეჯის მრავალდარგობრიობის საშუალებას იძლევა 2006-2007 წლებში საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია და შესაბამისი აღჭურვა სწავლებისთვის საჭირო ინვენტარითა და დაზგა-დანადგარებით. მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამების სწავლების ხარისხის გარანტიაა ქვეყანაში არსებული პროფესიული სტანდარტი და საგანმანათლებლო პროგრამები, სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიზანდასახულად ახორციელებს პროფესიული განათლების განვითარების ხელშემწყობ სხვადასხვა სახისა და შინაარსის პროექტებს, მოიზიდავს დონორ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

კოლეჯი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მნიშვნელოვან ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ქ. ახალციხეში რუსთაველის #106. ხოლო ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩნია 40,1 ჰა სას. სამ. და სათიბი მიწის ნაკვეთი.სამცხე-ჯავახეთში 4303 მოქმედი მცირე და საშ. საწარმოა. (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ნინოწმინდა, ახალქალაქი) მოსახლეობა შეადგენს 208,888 მათ შორის შრომითი რესურსი 125.000 კაცია. რომელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება რეგიონის მოსახლეობის უმუშევართა რიცხვს მკვეთრად შეამცირებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში მცხოვრები სომხური მოსახლეობისთვის კოლეჯში არსებულ სპეციალობებზე სწავლება რადგან მათთვის, ვიდრე სახელმწიფო ენის ცოდნა ჯერ კიდევ პრობლემატურია და ურთულეს აკადემიური განათლების

მიღებას, შედარებით ადვილად ეუფლება პროფესიული კოლეჯის პრაქტიკულ კომპეტენციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი სასწავლებლის არაქართველ სტუდენტ-მსმენელთა კონტიგენტი 25 %-ს შეადგენდა, მსმენელთა საერთო რაოდენობიდან.

კოლეჯისათვის რეგიონში ამჟამინდელი და დაგეგმილი პროექტები დასაქმებისთვის სერიოზულ რესურსს იძლევა. ამდენად საქართველოს რეგიონალური განვითარების 2013-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგიის გამოწვევის საფუძველზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კოლეჯის ქმედუნარიანობისა და პოტენციალის განვითარებისათვის, მისი საქმიანობის მომავალი წლების სტრატეგიული დაგეგმვა. სადაც განისაზღვრება მისი მისია, ხედვა, ღირებულებები და ყოველწლიური კონკრეტული ქმედებები სტრატეგიული მიზნის მისაღწევად.

კოლეჯის მიზანი და ამოცანები

კოლეჯის სტრატეგიული მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;

კოლეჯის სასწავლო, ინოვაციური და მმართველობითი საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

– საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტთა კადრებზე, რომლებიც აქტიურად შეუწყობენ ხელს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივი გარემოს დაცვასა და გონივრულ გამოყენებას;

– ინოვაციურ საქმიანობაში კოლეჯში განათლების სფეროში აუცილებელი პირობების შექმნა, საგანმანათლებლო საქმიანობის უახლოესი შედეგების დანერგვისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის;


– სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა, სტუდენტთა და მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა;

– კოლეჯისათვის პროფილურ ბაზრებზე საგანმანათლებლო მომსახურების, ახალი ტექნოლოგიების ათვისების, აგრეთვე შრომის ბაზრებზე მარკეტინგული და პროგნოზულ-ანალიტიკური კვლევების ჩატარება;

– კოლეჯის სტრატეგიულ პარტნიორებთან – გრძელვადიანი თანამშრომლობის ორგანიზება და უზრუნველყოფა;

- _ კოლეჯის სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
 - _ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
 - _ მართვისა და კონკურსების საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
 - _ თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავა, სპორტისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;
 - _ კოლეჯი აყალიბებს სტუდენტთა ინტელექტუალურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს, მუშაობს შრომისა და დასვენების, სპონსორობის, ქველმოქმედების თვითშეგნებისა და აუცილებლობის საკითხებზე, რათა საბოლოოდ სტუდენტი ჩამოყალიბდეს საზოგადოების აქტიურ წევრად;
- ზემოთაღნიშნული მისიის, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კოლეჯი ჩვენი რეგიონის კულტურული და ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით ხელს უწყობს შესაბამისი სასწავლო პროგრამების განხორციელებას.
- სხვადასხვა პროფესიული პროგრამა საშუალებას იძლევა, სტუდენტმა შეიძინოს აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლის დამთავრების შემდეგაც აშკარად შესამჩნევია სტუდენტთა კომპეტენცია, კომუნიკაბელურობა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება თავიანთ პროფესიებში, აგრეთვე კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობა ჰუმანიტარულ, სოციალურ და სხვა მეცნიერებებში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში.
- სასწავლო პროგრამები შესაძლებელს ხდის სტუდენტმა გაანალიზოს სხვადასხვა დისციპლინების ურთიერთკავშირი და გააკეთოს კომპეტენტური დასკვნები.
- კოლეჯი მხარს უჭერს:
- _ ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებაში;
 - _ განათლების ხარისხის უზრუნველყოფას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით;
 - _ საქართველოსა და საზღვარგარეთის პროფილურ სასწავლებლებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობას.
- კოლეჯის მისიის, მიზნებისა და ამოცანების შემუშავებაში მონაწილეობს ადმინისტრაცია და პედაგოგები. მმართველი რგოლი და სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები. მისია, მიზნები და ამოცანები საჯაროა და მას უნდა იცნობდეს, როგორც ადმინისტრაცია და პედაგოგები, აგრეთვე სტუდენტებიც.
- კოლეჯის მისიისა და მიზნების გადახედვა ხდება 3-5 წელიწადში ერთხელ.

მონიტორინგი განხორციელება შემდეგი სქემის მიხედვით:



მოთხოვნები ინდიკატორების მიმართ:

- კონკრეტულობა
- გაზომვადობა
- ადეკვატურობა
- რეალისტურობა
- შესრულების ვადების განსაზღვრულობა

მაჩვენებლები:

- რაოდენობრივი
- ხარისხობრივი
- დადებითი – უარყოფითი

მხარის სოციალურ-ეკონომიური და საგანმანათლებლო პრიორიტეტები.

სამცხე-ჯავახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. მასში შედის ორი ისტორიული მხარე - სამცხე და ჯავახეთი. რეგიონში შედის 6 მუნიციპალიტეტი: ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ნინოწმინდა და ახალქალაქი. რეგიონის ტერიტორია 6,421 კმ² -ია, მოსახლეობა - 208,888 ადამიანი. რეგიონის ცენტრალური ქალაქია ახალციხე.

რეგიონს გააჩნია ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მას ესაზღვრება თურქეთისა და სომხეთის სახელმწიფოები, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სავაჭრო- ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებისათვის. ფუნქციონირებს ვალეს (ახალციხის მუნიციპალიტეტი) სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, მიმდინარეობს კარწახის (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) სასაზღვრო-

გამშვები პუნქტის გახსნის სამუშაოები.

მხარის ისტორიული სატრანზიტო ფუნქციის აღდგენამ და უკვე მოქმედმა (თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ტრანსკასპიური გაზსადენი, მილენიუმის (MCG) პროექტი) და უახლოესი პერიოდისათვის დაგეგმილმა (მარაბდა-ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა) საერთაშორისო პროექტებმა დიდი სტიმული მისცეს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. საერთაშორისო საგზაო მაგისტრალის (საქართველო-სომხეთი და საქართველო-თურქეთი) სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და მოკლე ხანში რეგიონს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაგისტრალები ექნება, რაც უფრო მეტად დააჩქარებს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და შესაბამისად, ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას.

საამცხე-ჯავახეთი ტრადიციულად იყო სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და მომწოდებელი რეგიონი, რომელიც ამარაგებდა აგრო პროდუქტებით, როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს.ამჟამადაც სამხე-ჯავახეთში სოფლის მეურნეობის სექტორი წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტს.რეგიონში ძირითადად განვითარებულია მეკარტოფილეობა,მეცხოველეობა,რძის პროდუქტების წარმოება, მემარცვლეობა, ხილის წარმოება, მეფუტკრეობა, მეთევზეობა.ასევე რეგიონში განვითარებული იყო გადამამუშავებელი წარმოება. აღნიშნული წარმოების რეაბილიტაცია დაგეგმილია სხვადასხვა პროექტების ფარგლებში.ამჟამად რეგონში დაგეგმილია ასევე სატრანზიტო გზების მშენებლობა.მხარეში ასევე მნიშვნელოვან პრიორიტეტად ითვლება ტურიზმის განვითარება, მრავლადაა არქიტექტურული და კულტურის ძეგლები. კლდეში ნაკვეთი უნიკალური ნიმუშები, აბასთუმნის ობსერვატორია, რაბათის კომპლექსი და სხვა რაც ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

რეგიონში მრეწველობის დარგის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ადგილობრივი კვალიფიციური მუშახელის არსებობაა. ამისათვის საჭიროა შესაბამისი კვლევის წარმართვა იმ კვლევის შედეგისის გამოსავლენად, თუ რა პროფესიებზე არის მოთხოვნა მრეწველობის სფეროში. კვლევის შედეგების გათვალისწინებით უნდა მოხდეს რეგიონში არსებული სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამების მისადაგება ადამიანური რესურსების განვითარების გამოვლენილ საჭიროებებზე. ამ მხრივ, ასევე, მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს,

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო სექტორისა და რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიური თანამშრომლობა.

სამცხე-ჯავახეთში 4 პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებს. ამათგან 2 სამეწარმეო სუბიექტია, ხოლო თითო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე სასწავლებელია.

ა(ა)იპ „ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯი“ მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა სასწავლო პროგრამებს, მათ შორის, ოფისის მენეჯერის, ფარმაცევტის თანაშემწის, ექთნის თანაშემწის, მასაჟისტის, მცირე ბიზნესის მწარმოებლისა და მშენებლობის მწარმოებლის საგანმანათლებლო პროგრამებს.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა სტანდარტულ და მოკლევადიან სასწავლო პროგრამებს, მათ შორის : ბურალტერის, სტილისტის, დურგლის, ელექტრიკოსის, შემდუღებლის, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის, მეფილე- მომპირკეთებლის, ვეტერინალური მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა), მეფუტკრის, მებათქაშის, სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის, აგრარული ტექნიკის მექანიკოსის, კონდიტრის, მზარეულის, სარესტორნო საქმის მწარმოებლის, ხილ- ბოსტნეულის გადამამუშავებლის, ავტომობილის ზეინკლის, ბარმენის, რძის გადამამუშავებლისა და სამკურნალო და არომატული მცენარეების დამამზადებლის სპეციალობებზე.

შ.პ.ს "ახალციხის სამედიცინო სასწავლებელი 2009" მომხმარებლებს სთავაზობს ექთნის თანაშემწის სასწავლო პროგრამას.

რეგიონში მოქმედებს კიდევ ერთი პროფესიული სასწავლებელი - შპს „ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი“.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები

ამჟამად რეგიონში 1 უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ფუნქციონირებს - სსიპ მესხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი . უნივერსიტეტი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებთან ერთად


ახორციელებს პროფესიულ პროგრამებსაც.

პარტნიორი , დაინტერესებული ორგანიზაციები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

1. განათლების სამინისტროს ხარისხის ეროვნული ცენტრი
2. ადგილობრივი თვითმმართველობა
3. დამსაქმებლები
4. სამცხე-ჯავახეთის მხარის (ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, ბორჯომი, ახალქალაქი, ნონოწმინდა) საჯარო სკოლები
5. დონორი ორგანიზაციები
6. არასამთავრობო ორგანიზაციები
7. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
8. IOM-მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
9. ზრდასრულთა განათლების ასოციაცია
10. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა დაწესებულებები
11. მასწავლებელთა სახლი
12. გაეროს განვითარების პროგრამა.

კოლეჯის სტრუქტურა:



საშტატო განრიგი

დირექცია

- | | |
|------------------------|---|
| 1. დირექტორი | 1 |
| 2. დირექტორის მოადგილე | 1 |

ადმინისტრაცია

- | | |
|--|---|
| 1. ხარისხისა და პროგრამების მართვის მენეჯერი | 1 |
| 2. მთავარი ბუღალტერი | 1 |
| 3. შესყიდვების სპეციალისტი | 1 |
| 4. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი | 1 |
| 5. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი | 1 |
| 6. მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი | 1 |
| 7. საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი | 1 |
| 8. რეესტრის წარმოების სპეციალისტი | 1 |
| 9. საქმის მწარმოებელი | 1 |
| 10. იურისტი | 1 |
| 11. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი | 1 |
| 12. ინკუზიური სწავლების სპეციალისტი | 2 |
| 13. ინკუზიური სწავლების ასისტენტი | 1 |
| 14. ბიბლიოთეკარი | 1 |

დამხმარე და მოსამსახურე პრსონალი

- | | |
|--------------------------|---|
| 1. მედდა | 1 |
| 2. დარაჯი | 4 |
| 3. დამლაგებელი | 4 |
| 4. დამხმარე თანამშრომელი | 4 |
| 5. მძღოლი | 1 |
| 6. მეეზოვე | 1 |

მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობა

კოლეჯის ბალანსზე არსებობს 4 შენობა: სასწავლო კორპუსი- 1 , სახელოსნო - 2, საწყობი - 1.

სასწავლო კორპუსი- სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი 4 სართულიანია, შენობაში სულ 66 ოთახია, სასწავლო კორპუსს 2006 წელს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. გააჩნია ცენტრალური გათბობა, განათება და წყალმომარაგება, შენობაში შეყვანილია ბუნებრივი აირი. შენობის 1,2,3,4, სართულებზე განთავსებულია კლას -კაბინეტები ლაბორატორიები და ადმინისტრაციის ოთახები, ასევე სახელოსნოები :

1. მეფილე მომპირკეთებლის და სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოების ლაბორატორია - 53,5 მ2
2. სტილისტის სახელოსნო - 19,0 მ2
3. ჭრა-კერვის სახელოსნო - 53,7 მ2
4. ავტომობილების, ტრაქტორების და სას. სამ. მანქანების ლაბორატორია - 53,4 მ2
5. ფერმერების (ვეტერინარიის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა გადამუშავების კაბინეტ-ლაბორატორია - 54,3 მ2
6. რძის გადამუშავების ლაბორატორია - 26,5 მ2
7. ელექტრიკოსის ლაბორატორია - 68,2 მ2
8. ელ. მოწყობილობის ლაბორატორია - 53,3 მ2
9. ფიზკულტურის დარბაზი (მცირე) 53,4 მ2
10. სასწავლო პროცესისთვის საჭირო კლას-კაბინეტები _ 819,3 მ2

სარდაფი ასევე გამოყენებულია ლაბორატორიებისათვის (საზეინკლო ლაბორატორია, აგრარული ტექნიკის მექანიკოსის ლაბორატორია, ელექტრიკოსების, მშენებლების, მცირე სპორტული დარბაზი და 3 სათავსო.

სას. სამ. საქმიანობებთან დაკავშირებული ჯგუფები იყენებენ ამავე სასწავლებლის კუთვნილ 40,1 ჰა-ს სას. სამ. დანიშნულების მიწის ნაკვეთს. ბაღს 500მ2 და საცდელი მიწის ნაკვეთს (100მ2)

I - სახელოსნოს შენობის ერთ ნაწილში განთავსებულია სახელოსნოები :სადურგლო, შემდუღებლის, სამშენებლო, ავტომობილის შემკეთებელისა და ხილის საშრობი სათავსო. აღნიშნული სახელოსნოები გარემონტებულია კოლეჯის მიერ პრაქტიკის პერიოდში. შენობის ნაწილი კი ასათვისებელია. სპეციალისტების აზრით სახელოსნოს მთლიანი შენობა ავარიულია, მთლიანადაა შესაცვლელი სახურავი და ასათვისებელი ფართიც არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. გამომდინარე აქედან აღნიშნულ შენობაში განთავსებული სახელოსნოებიც ექვემდებარება სხვა შენობაში განთავსებას. სპეციალისტები მიიჩნევენ ,რომ სასწავლო კორპუსის სარდაფში განთავსებული ლაბორატორიებიც (ელექტრიკოსი, ზეინკალი, აგრარული ტექნიკის მექანიკოსი, მცირე სპორტული დარბაზი) ბუნებრივი განათების დაბალ პროცენტულობისა და სინესტის გამო ასევე უნდა განთავსდეს სხვა ადგილას. ამასთანავე სტუდენტთა გაზრდილი კონტიგენტის გამტარიანობის თვალსაზრისით ვეღარ დააკმაყოფილებს სამზარეულო-საკონდიტრო და სარესტორნო საქმის სპეცილობებისათვის სასწავლო კორპუსში არსებული ფართი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეჯს გადაუდებლად ესაჭიროება ახალი სტანდარტების შესაბამისი სახელოსნო კომპლექსის მშენებლობა , სადაც განთავსდება: მზარეულის, საკონდიტრო , სარესტორნო საქმისმწარმოებლის, სადურგლო, შემდუღებლის, სამშენებლოავტომობილის შემკეთებელისა და ხილის საშრობი სათავსო, აგრარული ტექნიკის მექანიკოსის,მცენარეთა დამამზადებლისა და ხილ-ბოსტნის გადამამუშავებელი.

შენიშვნა: სასწავლებლის ტერიტორიაზე განთავსებულ ერთი სახელოსნოსა და ერთი საწყობის დემონტაჟი, რომლებიც სპეციალისტების აზრით აღდგენას აღარ ექვემდებარება , იძლევა საშუალებას ახალი სახელოსნო კომპლექსის მშენებლობისა. ახალი კომპლექსისი მშენებლობა არ გამოიწვევს სასწავლო პროცესის შეფერხებას.

II- სახელოსნო ექვემდებარება დემონტაჟს.

საწყობი ექვემდებარება დემონტაჟს.

სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის სპეციალობების მიხედვით საჭირო აღჭურვილობები:

| პროგრამა | შესაძენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა | შენიშვნა |
|---|--|-----------------------------------|
| სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი | შესაძენია სამრეწველო სამკერვალო მანქანები | გაგვაჩნი საყოფაცხოვრებო მანქანები |
| მცენერეთა დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული) | შესაძენია მცენარეთა ფესვების დოლური სარეცხი მანქანა, ვიბრაციული ლენტა, დამაფასოებელი | |
| ავტომობილის ზეინკალი | შესაძენია მსუბუქი ავტომანქანა თანამედროვე მოდელი, სადიაგნოსტიკო მოწყობილობა | |
| ვეტერინალური მომსახურების სპეციალისტი | შესაძენია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სადგომით | ლაბორატორია აღსაჭურვია ნაწილობრივ |
| აგრარული ტექნიკის მექანიკოსი | შესაძენია თვლიანი ტრაქტორი და სას.სამ. მანქანები | |
| სასურსათ პროდუქტებისწარმოების სპეციალისტი | შესაძენია მაკარონის წარმოების ტექნოლოგიური ხაზი | |
| ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი | შესაძენია ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავების ტექნოლოგიური ხაზი | |

| | |
|-------------------------------------|---|
| მზარეული | შესაძენია გაზქურა, საცხობი, ჰაერის გამწმენდი ფილტრი |
| მეფილე-მომპირკეთებელი | ნაწილობრივ (შესაძენია დულამრევი, ბათქაშის დასატანი მექანიზმი) |
| სახელოსნოების: შემდუღებელი, დურგალი | არ გვაქვს სავენტილაციო სისიტემა |
| კომპიუტერული სწავლებისათვის | შესაძენია 30 პრსონალური კომპიუტერები |
| ყველა ჯგუფისთვის | შესაძენია სასწავლო დანიშნულებით სტუდენტთა გადასაცვანად მიკრო ავტობუსი |

კოლეჯის სამოქმედო გეგმა 2014- 2020 წწ :

1. ახალი სახელოსნო კომპლექსისი მშენებლობა, რომელშიც შევა: მზარეულის, კონდიტერის, სარესტორნო საქმისმწარმოებლის, დურგალის, შემდუღებლის, ზეინკალის, ავტომობილის შემკეთებლის, აგრარული ტექნიკის მექანიკოსის, ხილ-ბოსტნის გადამამუშავებლის, მცენარეთა დამამზადებლის, სამშენებლო სპეციალობების სახელოსნოები და სპორტული დარბაზი;
2. კოლეჯის სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის აშენება(მინიმუმ 50 სტუდენტზე);
3. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლებისა და გადამზადების საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია“ UNDP -ის მხარდაჭერით პროექტის ფარგლებში ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების ცენტრის ამოქმედება ;
4. კოლეჯის ტერიტორიაზე სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა.(კენკროვნები); UNDP-ს მდგრადი განვითარება და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის პროექტის ფარგლებში;
5. მოდერნიზებული სტანდარტების შესაბამისად სასწავლო გეგმებისა და პროგრამების განახლება-დახვეწა;
6. მოდულარული სწავლების დანერგვის მიზნით, საპილოტე პროგრამების განხორციელება;
7. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი სისტემის შექმნა;
8. სასწავლო პროცესში სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
9. სასწავლო საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განვითარება;
10. პედაგოგიური პერსონალისათვის ეფექტიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობის პირობების შექმნა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა;
11. კოლეჯის თანამშრომლებისა და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა;
12. კოლეჯის ბიბლიოთეკის შესაბამისობაში მოყვანა საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებთან;
13. საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობების დამყარება და მათი მიღწევების გავრცელება;
14. სპორტისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;

15. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება;
16. სწავლის მიმართ სტუდენტების მოტივაციის ამაღლება;
17. საგანმანათლებლო პროგრამების შესრულების მონიტორინგი;
18. სტუდენტთა ხარისხიანი სწავლების მონიტორინგი;
19. პერსონალის და მიმართულების ხელმძღვანელების ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრების ორგანიზება, სხდომაზე შედეგების განხილვა, ანალიზი, სათანადო დასკვნების გაკეთება;
20. პედაგოგთა გადამზადება;
21. პედაგოგების საათობრივი ანაზღაურების გაზრდა;
22. საშტატო რიცხოვნებისა და შრომის ანაზღაურების გაზრდა;
23. მისაღები კონტიგენტის გაზრდა;
24. სსსმ პირთა კონტიგენტის გაზრდა და მათი დასაქმების ხელშეწყობა;
25. კურსდამთავრებულთა საინფორმაციო ბაზის შექმნა;
26. დაფინანსების გაზრდისა და კოლეჯის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით დონორი ორგანიზაციების მოზიდვა;

შიდა ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|--|
| საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. ავტორიზაცია | დამსაქმებლის დაუვალდებლობა ჰყავდეთ სერთიფიცირებული სპეციალისტი, რაც გათვალისწინებულ იქნება სატენდერო პირობებში |
| სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი, ორგანიზაციათა მხარდაჭერა | რამოდენიმე სპეციალობაში (სას. სამ. მანქანები და ტრაქტორები, საზეინკლო საქმე) მოძველებული მატ. ტექ. ბაზა |
| კოლეჯის მიკროგარემოში ადამიანური რესურსების საკმარისი რაოდენობა | პროფესიული სტუდენტისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების შეღავათის არქონა |
| ძლიერი კონკურენტების არარსებობა რეგიონში | სწავლების თანამედროვე მეთოდების და მეთოდის პრაქტიკაში ჯერ კიდევ სუსტად გამოყენება |
| კოლეჯის მრავალპროფილიანობა | ისეთი საწარმოო პრაქტიკის ადგილების სიმცირე, სადაც ახალი ტექნოლოგიებია |
| პროფესიების შერჩევისას შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება | რეგიონში თითქმის არ არსებობს მსხვილი გამოყენებული საწარმოო ქარხანა, ფაბრიკა |

| | |
|--|---|
| კეთილმოწყობილი მაღალგამტარუნარიანი სასწავლო კორპუსი | ელექტრონული ჟურნალის არქონა |
| გუნდური მუშაობის პრაქტიკა | სპეციალობების ერთ ნაწილზე არასაკმარისი მატ. ტექნ. ბაზა |
| კარგად ორგანიზებული დარგობრივი კათედრები | სახელოსნოების შეუსაბამო ბაზა თანამედროვე სტანდარტებთან |
| დემოკრატიული მენეჯმენტი | დამსაქმებელთა მხრიდან ნაკლებდაინტერესება მაღალკვალიფიციურ კადრებზე |
| გამოცდილი გადამზადებული ადამიანური რესურსი | ჩამოყალიბების პროცესშია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა |
| პროფესიული სტანდარტის შესაბამისად მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამები | პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი |
| სასწავლებელში არსებული პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც გვეხმარება სტუდენტთა დასაქმებაში "IOM"-ს სახით | სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და მათი გადასადგილებელი ტრანსპორტის არარსებობა. |
| გაეროს განვითარების ფონდის "UNDP" დაფინანსებით მიმდინარე პროგრამები | |
| ძირითადად დამაკმაყოფილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა | |
| შრომის ბაზრის შესწავლის გამოცდილება | |
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის არსებული პროექტის განხორციელება. | |
| ფერმერთა სინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ფუნქციონირებით ფერმერთა მჭიდრო ურთიერთობის დამყარება და ამ ფაქტორის გამოყენება სტუდენტთა დასაქმებისათვის. | |
| ელექტრონული სწავლების დანერგვა განათლების სამინისტროს არსებული პროექტის ფარგლებში | |
| კოლეჯის დირექციის მონაწილეობა რეგიონის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. | |

| შესაძლებლობები | საფრთხეები |
|--|---|
| რეგიონში ეკონომიკური განვითარების კუთხით დაგეგმილია დიდი მოცულობის მშენებლობების ინფრასტრუქტურის განვითარების გზების აღმშენებლობის და სხვა პროექტების განხორციელების პროცესში საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების შეთავაზება | 1.ინფორმაციის უქონლობა 2.საწარმოებთან, დამსაქმებელი ორგანიზაციის დაინტერესების დაბალი დონე და მათთან სუსტი კომუნიკაცია |
| ფასიანი სწავლების მოცულობის გაზრდა | 1.ეკონომიკური კრიზისი 2.მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შემცირება 3. შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია |
| ახალი სახელოსნოების მშენებლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში | ეკონომიკური კრიზისი |
| საერთაშორისო პროგრამებში ჩართვა | |
| საპროფორინტაციო მუშაობის გააქტიურება და აღნიშნულ საქმიანობაში მ.ს.ო. ახალციხის ოფისის გამოყენება | |
| სწავლების ხარისხის ამაღლება | 1. საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები ორიენტაცია ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე |
| სოციალური პარტნიორობის განვითარება საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, ბიზნესწარმომადგენლებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან | მათი მხრიდან ნაკლები ინტერესი |
| ინკლუზიური და სხვადასხვა რისკ –ჯგუფების პროფესიული განათლების პროგრამების რეალიზაცია | პროფესიული კადრების გამოუცდელობა |
| კოლეჯის შევსება ახალგაზრდა კადრებით | 1. ახალგაზრდა საინჟინრო კადრების ნაკლებობა 2. პრაქტიკული გამოცდილების მქონე ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა |
| სასწავლო–სამეწარმეო საქმიანობის რეალიზაცია | სასწავლო დაწესებულებაში სამეწარმეო-ეკონომიკურ საქმიანობაში დეტალურად გათვლილი სახელმძღვანელო დოკუმენტის არ არსებობა |
| დასაქმებული პერსონალის გადამზადების მიზნით ფასიანი მოკლევადიანი პროგრამების მომზადება განხორციელება | მსმენელთა გადახდისუნარიანობა |
| | |

სტრატეგიული გეგმის ფინანსური უზრუნველყოფა:

1. სახელმწიფო ბიუჯეტი
2. არასამთავრობო ორგანიზაციები
3. საერთაშორისო ორგანიზაციები
4. პარტნიორები
5. საკუთარი შემოსავლები